community

The New Apostolic Church around the world

01/2018/ GE

2018 წლის დევიზი:

ერთგულება ქრისტეს მიმართ

რედაქციისგან:
პირველმოციქული წლის დევიზთან დაკავშირებით

ღვთისმსახურება ჩიკაგოში:
გთხოვ, წადი!

ეკლესიის მოძღვრება:
განსვენებულთა არსი

New Apostolic Church
International

ერთგულება ქრისტეს მიმართ

ფოტო: საერთაშორისო ახსე

საყვარელო ერთმორწმუნე და-ძმანო,

ახალ წელს უხვ ღვთიურ კურთხევასა და ღმერთის თანყოფნის განცდას გისურვებთ.
მშვენიერი ტრადიციაა, როცა წლის დასაწყისში ადამიანები ერთმანეთს ყოველივე კარგსა და საუკეთესოს უსურვებენ. მაგრამ ჩვენ უფრო მეტის გაკეთება შეგვიძლია ერთმანეთისათვის. შეგვიძლია ვილოცოთ და ვუთხრათ ღმერთს: „აკურთხე ჩემი ძმა! განამტკიცე ჩემი და! დაიფარე და ანუგეშე ისინი.“

ვილოცოთ ერთმანეთისათვის მთელი წლის განმავლობაში, ამის გაკეთება ყოველ დღე შეგვიძლია. ამ დროს განსაკუთრებით მეფიქრება ის და-ძმები, რომლებიც ისეთ რეგიონებში ცხოვრობენ, სადაც ომი, გაჭირვება და ძალმომრეობაა გამეფებული. მე იმათზეც ვფიქრობ, ვინც დიდ ტკივილს განიცდის, იქნება ეს ფიზიკური თუ სულიერი. საყვარელო და-ძმანო, დარწმუნებული იყავით, რომ ბევრს ვლოცულობთ თქვენთვის!

მოციქულები განსაკუთრებულად ლოცულობენ იმისათვის, რომ ყველამ შეძლოს ჩვენი რწმენის მიზნის მიღწევა: იყოს მონაწილე ქრისტეს მეორედ მოსვლისა. მოდით, ახალ წელსაც კვლავ მოვემზადოთ ამ მოვლენისათვის. ამისათვის კი სატრენინგო პროგრამა გვაქვს, რომელშიც ყოველწლიურად იცვლება მთავარი პუნქტები.

ასე მაგალითად, ჩვენ ვიმუშავეთ ისეთ თემებზე, როგორიცაა სიყვარული, სიხარული, კურთხევა და ღმერთის ქება-დიდება. ამ წელსაც სასძლო თემის მნიშვნელოვან დამახასიათებელ თვისებას განვიხილავთ: ქრისტეს მიმართ ერთგულებას.

სიყვარულსა და სიხარულთან ერთად სასძლო თემის არსის აუცილებელი შემადგენელია ერთგულებაც. სხვაგვარად არაფრით არ შეიძლება. მაგრამ როგორ განვახორციელოთ ქრისტეს ერთგულება პრაქტიკულად? აქ ოთხი პუნქტი მინდა დაგისახელოთ:

- ქრისტეს მიმართ ერთგულება ნიშნავს: მივყვეთ მის მაგალითს;
- ქრისტეს მიმართ ერთგულება ნიშნავს: მძიმე პერიოდებშიც შევინარჩუნოთ სიყვარული.
- ქრისტეს მიმართ ერთგულება ნიშნავს მსახურების სურვილს;
- ქრისტეს მიმართ ერთგულება ნიშნავს: დავიცვათ ჩვენი პირობა.

ეს უმნიშვნელოვანესი პუნქტებია. ღვთისმსახურებებზე ვიგებთ, თუ რას ნიშნავს ისინი ჩვენთვის პირადად.

ერთგულების თემა მრავალფეროვანია: აქ საუბარია ისეთ მთავარ ცნებებზე, როგორიცაა პატიოსნება, ნდობა, სიმტკიცე და სანდოობა. მოდით, 2018 წელს ინტენსიურად ვიმუშაოთ ერთგულების მნიშვნელობის მრავალრიცხოვან საფეხურებზე.

რატომ? ეს ხომ ცხადია: ქრისტესადმი ერთგულება გადამწყვეტია ჩვენი რწმენისათვის. იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ზოგიერთ ენაში „რწმენისა“ და „ერთგულების“ ორივე ცნებისათვის ერთი და იგივე სიტყვაა გამოყენებული ახალ აღთქმაში.

ამ აზრით გისურვებთ, რომ 2018 წელი რწმენის სიმტკიცის წელი იყოს: მოდით, ვუერთგულოთ ღმერთს!

თქვენი ჟან-ლუკ შნაიდერი

2017 წლის 10 ივნისს ჩიკაგოში პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა აშშ-ს სამხ. ეკლესიის მღვდლემსახურებთან ერთად ღვთისმსახურება ჩაატარა.

ფოტო: pigprox – Fotolia.com



ფოტო: აშშ-ს ახსე

გთხოვ, წადი!

მათ. 28, 19. 20

„ახლა წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი მამისა და ძისა და სულიწმიდის სახელით. ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ. აჰა, მე თქვენთანა ვარ დღენიადაგ საუკუნის დასასრულამდე.“

ჩემო გულით საყვარელო ძმებო, განსაკუთრებული მოვლენაა ის, რომ მე დღეს თქვენს შორის ვიმყოფები, უპ. ყოვლისა, იმიტომ, რომ ბევრი ძმაა ტრანსლიაციით შემოერთებული ქვეყნის მასშტაბით. ასეთი რამ არც ისე ხშირად ხდება; მინდა არსებული სიტუაცია გამოვიყენო და ჩვენი მხრიდან მადლობა გადაგიხადოთ თქვენი შრომისათვის, მხარდაჭერისა და მსახურებისათვის. მე შეგნებულად ვთქვი „ჩვენი მხრიდან მადლობა“, ვინაიდან მინდა, რომ მოციქულთა სახელით მოგმართოთ. იცით, რომ ჩვენ თქვენს დახმარებასა და მხარდაჭერაზე ვართ დამოკიდებულნი.

მოციქულები იესომ მიავლინა და ჩვენ გვწამს და გვჯერა, რომ ახალსამოციქულო ეკლესიის მოციქულებიც იესოს მიერ არიან მივლინებულნი. იესომ მათ უზარმაზარი ამოცანა დააკისრა, რომელსაც მარტო ვერ გაუმკლავდებიან. ჩვენ თქვენი დახმარება, თქვენი ლოცვები გვჭირდება. თქვენი მხარდაჭერა გვჭირდება. ამიტომაც ვართ ასეთი მადლობლები იმ მზადყოფნისათვის, რომ მოციქულებთან ერთად იესო ქრისტესათვის იშრომოთ.

თქვენ თანხმობა განაცხდეთ ორდინაციაზე და ამდენად იმაზე, რომ მიგეღოთ სამოციქულო უფლებამოსილების ნაწილი და სამოციქულო დავალება. მაშასადამე, ჩვენ ყველა ვინაწილებთ დაკისრებულ ტვირთს. მოციქულმა, რომლისგანაც თქვენ დავალება მიიღეთ, თავისი უფლებამოსილების ნაწილი გადმოგცათ. თქვენ ამ დავალებას მარტო ისე კი არ ასრულებთ, როგორც, დავუშვათ, თქვენს ფირმაში აგვარებთ საქმეებს, არამედ მთელი გულითა და სიყვარულით. ეს უბრალოდ სამუშაო არ არის, რომელსაც ასრულებთ, არამედ ეს არის რწმენის საქმე, სიყვარულის საქმე, რომელსაც ბევრი მსხვერპლი და ლოცვა სჭირდება. ამიტომაც ვართ მადლობლები იმისათვის, რომ მზადყოფნა გამოთქვით, მიგეღოთ ეს დავალება. დავალებას, თქვენ, როგორც მღვდელმსახურნი, მოციქულისგან იღებთ, ორდინაციასთან ერთად მოციქულის უფლებამოსილების თანმონაწილენი გახდით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასულიერო თანამდებობა და უფლებამოსილება ძალაშია მანამდე, ვიდრე მოციქულობასთან გაქვთ კავშირი და მოციქულის დავალებით მოქმედებთ. ეს არის ახალსამოციქულო ეკლესიის დამახასიათებელი ნიშანი. ყველა ეკლესიაში როდი ხდება ასე. ზოგიერთ ეკლესიაში სასულიერო თანამდებობის მატარებელი პირი აკეთებს იმას, რაც სურს, რამდენადაც ეკლესია ეთანხმება მას. მაგრამ ჩვენს ეკლესიაში ასე არ ხდება. მღვდელმსახურთთვის - სამღვდელო პირებისა და დიაკვნებისათვის - სასულიერო თანამდებობასთან დაკავშირებული უფლებამოსილება ძალაშია მხოლოდ მაშინ, როცა მღვდელმსახურები მოციქულის დავალებით მოქმედებენ.

ზოგჯერ რომელიმეს არაჩვეულებრივი იდეა უჩნდება: „ო, ამის გაკეთება შეგვიძლია, ეს ხომ კარგი იქნება?!“ ამ შემთხვევაში ძმებს უნდა ვუთხრა: „ეს ალბათ, მართლაც, კარგია, მაგრამ დარწმუნებულნი ხართ, რომ მოცემულ მომენტში მოციქულის დავალებით მოქმედებთ?“ თუ ასე არ არის, მაშინ არ გაქვთ ამის უფლება.“ ჩვენი ძმების ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი ასე იქცევა და ჩვენ მადლობლები ვართ მათი ამისათვის. კარგით, აშშ-ში ეს 100 პროცენტია.

რატომ გავიხსენე ეს? იმიტომ, რომ მნიშვნელოვანია. ჩვენ ყველა ერთი განსაზღვრული დავალებით ვმოქმედებთ. თქვენ, როგორც მღვდელმსახურნი, თქვენი მოციქულის დავალებით მოქმედებთ, რომელმაც თავისი დავალება იესოსგან მიიღო. დღევანდელი დღისათვის ეს სიტყვა იმიტომ ამოვირჩიე, რომ იგი ყველა მღვდელმსახურისათვის - დიაკვნებისათვის, სამღვდელო პირებისა და მოციქულებისათვის - მნიშვნელოვანია, რათა კარგად გააცნობიერონ შემდეგი: ეს ჩემი დავალებაა. ეს მოციქულების დავალებაა და ისინი თავიანთი დავალების ნაწილს ორდინირებულ მ ღ ვ დ ე ლ მ ს ა ხ უ რ ე ბ ს უნაწილებენ.

> წადი. უთხარი ეს ადამიანებს. დაარწმუნე ისინი. წაახალისე ისინი.

ხანდახან საინტერესოა, დავფიქრდეთ იმაზე, თუ რას შეიცავს ჩვენი დავალება. იესო ამას გარკვევით ამბობს: „წადით!“ ეს ჩვენი დავალების პირველი ნაწილია.

როცა სასულიერო თანამდებობაზე ორდინირება ხდება, - ცხადია, ამის ხაზგასმა აქ საჭირო არ არის - ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი ამ დროს მაღალ თანამდებობას იკავებს. ის უფროსი არ ხდება. ამ დროს კონკრეტული პირი სამუშაო დავალებას იღებს. მოწოდება ასეთია: წადი! ეს ნიშნავს აგრეთვე შემდეგს: ამოძრავდი! ეს კი იმას, რომ მოციქულები, მაგრამ ასევე ყველა მღვდელმსახური, იესო ქრისტეს შემეცნებას კიდევ უფრო უნდა ჩაუღღმავდნენ. ჩვენ ვერ გავჩერდებით იქ, სადაც ახლა ვართ და ვიფიქრებთ, რომ ყველაფერი ვიცით და ყველაფერი გვაქვს. კიდევ უფრო უნდა ჩავუღრმავდეთ ქრისტეს შემეცნებას, ამისათვის კი სულიწმიდის წინამძღოლობა გვჭირდება. ჩვენ უნდა მივყვეთ მას და ადამიანებთან მივიდეთ.

„წადით!“ სახარების სხვებისათვის გაზიარებას პირადი კონტაქტი სჭირდება. იესოს ეს მოწოდება რომელიმე ორგანიზაციის ან ფირმისათვის არ არის გამიზნული. ეს მოწოდება თვითეულ ჩვენთაგანს

ეხება, მოციქულებს და მათ თანამშრომლებს: „წადით!“

ვერ ვიტყვით, ეს ეკლესიის საქმეაო. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ვიტყოდით: „სახარებისა და ახალსამოციქულო რწმენის ხალხისათვის გასაცნობად სარეკლამო აქციას მოვაწყობთ; ინფორმაციას გავავრცელებთ ამის შესახებ და მორჩა.“ მაგრამ დავალება ასეთი არ არის. დავალება შემდეგია: „წადით!“ იესოს სურდა, რომ პირადად დაგვემყარებინა კონტაქტი ადამიანებთან. შეუძლებელია მოწაფეების მოპოვება ტელევიზიასა ან სადმე სხვაგან რეკლამის განთავსებით. პირადი კონტაქტი მოცემული დავალების ნაწილია და ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ. „წადით!“ ადამიანებთან უნდა მივიდეთ. უნდა დაველაპარაკოთ მათ, დავარწმუნოთ, მოტივაცია მივცეთ. სწორედ ეს განასხვავებს ეკლესიას, ღვთის საქმეს, ფირმისგან. ჩვენ ვერ ვიმოქმედებთ როგორც ფირმა. ჩვენი დავალებაა, მივიდეთ და დაველაპარაკოთ ადამიანებს, პირადი კონტაქტი დავამყაროთ მათთან.

„წადით!“ და რა მიზნით? ყველა ხალხის „მოსამოწაფეებლად“. ვინმეს დამოწაფება ნიშნავს იმას, რომ ბიძგი მივცეთ მას, გაჰყვეს იესოს. ეს არის ჩვენი დავალება. „მოწაფის“ განსაზღვრებაც ხომ ასეთია: იესოს მიმდევარი. მაშასადამე, ადამიანების იესოს მოწაფეებად ქცევა ქრისტეს მიმდევრობისკენ მათ მოტივირებას ნიშნავს. ამის წინაპირობა კი იმის რწმენაა, რომ სახარება ყველა ადამიანისთვისაა - სულერთია, თუ რა პირობებში ცხოვრობს იგი, როგორი კულტურული გარემო აქვს, როგორია მისი ეკონომიუკრი სიტუაცია ან როგორი წარსული აქვს მას. სახარება მთლიანობაში ყველა ადამიანისთვისაა. აქ შეზღუდვებს ვერ დავაწესებთ და ვერ ვიტყვით: „დიახ, მცნებები ყველას ეხება. ვინც ღვთის ნებას არ შეასრულებს, დაისჯება.“ ეს სახარების მხოლოდ ერთი ასპექტია. სახარება მთლიანობაში ყველა ადამიანს ეხება - მართლაც, ყველა ადამიანს დედამიწაზე. ძმებო, უნდა გვწამდეს ამისი. ყველა ხალხთან უნდა მივიდეთ. ჩვენს წინაპრებს ეს ასე ესმოდათ: დედამიწის ყველა კუთხეში უნდა მივიდეთ, რათა ადამიანებს მოწმობა მივუტანოთ და სახარება ვუქადაგოთ, გავაცნოთ ახალსამოციქულო რწმენა. ამისათვის გიხდით მადლობას და ჩვენი ღრმა პატივისცემა თქვენ. კარგად ვიცი, რაზეც ვლაპარაკობ აქ აშშ-ში და ჩრდ. ამერიკაში. ჩრდ. ამერიკელმა ძმებმა და ღვთის შვილებმა დიდი სამუშაო ჩაატარეს იმისათვის, რომ სახარება მთელ მსოფლიოში გაევრცელებინათ. ეს მნიშვნელოვანი ასპექტია, მაგრამ მხოლოდ ასპექტი.

მარკოზის სახარებაში ნათქვამია: „მოიარეთ მთელი ქვეყანა და უქადაგეთ სახარება ყველა ქმნილებას“ (მარკ. 16, 15). მარტო ქრისტიანებთან კი არ უნდა მივიდეთ ყველა ქვეყანაში, არამედ სახარება მთელ მოსახლეობას უნდა ვუქადაგოთ. ჩვენ ყველასთან უნდა მივიდეთ მათი პირობების, კულტურის, ასაკისა და იმის მიუხედავად, მდიდრები არიან ისინი თუ ღარიბები. და სწორედ ეს არის ჩემი საფიქრალი, როცა თემებს გადავხედავ ხოლმე მსოფლიო მასშტაბით. ამ დროს საკუთარ თავს ვეკითხები, ასახავენ კი ჩვენი თემები მოსახლეობის საერთო სურათს? ჯერ კიდევ არა. ჩვენი ამოცანაა, მივიდეთ ყველა ხალხთან და მთლიანად მოსახლეობასთან, გამონაკლისის გარეშე. საყვარელო ძმებო, უნდა დავფიქრდეთ ამაზე:

მთელი მოსახლეობა, „ყველა ქმნილება“. მაშ, რაში მდგომარეობს ჩვენი ამოცანა? უნდა მოვიმოწაფოთ ისინი და მივცეთ მოტივაცია, რამეთუ გაჰყვნენ ქრისტეს. მოდით, ნურაფერს შევპირდებით მათ. ადვილი იქნებოდა, მივსულიყავით ღარიბებთან და შევპირებოდით, რომ, თუ ქრისტეს გაჰყვებოდნენ - და კიდევ უფრო მეტი, იმ შემთხვევაში, თუ ახალსამოციქულო ქრისტიანები გახდებოდნენ -, გამდიდრდებოდნენ. შეგვეძლო მივსულიყავით სნეულებთან და გვეთქვა: „თუ ქრისტესა და მოციქულებს გაჰყვებით, გამოჯანმრთელდებით“. ანდა მივიდეთ დაჩაგრულებთან და ვუთხრათ: „თუ ქრისტეს გაჰყვები, განთავისუფლდები“. მაგრამ ეს ყოველივე იესოს მოწაფეებად არ აქცევდა მათ. ბევრი ადამიანი იესოს იმიტომ გაჰყვა, რომ სასწაულების იმედი ჰქონდა. მათ განკურნება სურდათ. მაგრამ ეს ის მოწაფეები არ იყვნენ, რომლებიც იესოს სურდა. სხვებს იესოსგან იმის მოლოდინი ჰქონდათ, რომ ის არსებულ პირობებს შეცვლიდა და რომაელთა უღლისგან დაიხსნიდა მათ. ეს ასე არ მოხდა. მას ისეთი მოწაფეების ყოლა სურდა, რომლებიც სიყვარულით გაჰყვებოდნენ მას, მიენდობოდნენ და მზად იქნებოდნენ, მისი გულისათვის ყველაფერი მიეტოვებინათ. აზრი არა აქვს, დაველაპარაკოთ ადამიანებს და კურთხევა, სიმდიდრე, წარმატება და გაჭირვებისგან ხსნა შევპირდეთ მათ. ეს უაზრობა იქნება. ასე ვერ მოვიპოვებთ მოწაფეებს.

ჩვენი ამოცანა იესო ქრისტეს რჯულის სწავლებაა და არა ჩვენი საკუთარისა.

არც იმის საფუძველი არსებობს, რომ ადამიანებს დიდი „ვაების დროით“ დავემუქროთ: „თუ არ ირწმუნებთ, სხვებთან ერთად დაიტანჯებით, ჩვენ კი გადავრჩებით.“ არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ დავემუქროთ მათ.

როგორ ვაქციოთ „ყველა ხალხი“ იესოს მოწაფეებად? იესო ქრისტეს დიდება უნდა დავანახოთ მათ. ქრისტეს სიყვარული უნდა ჩავუნერგოთ გულებში. იესოს სიდიადისა და დიდების შემეცნებაში უნდა დავეხმაროთ: იესო ღმერთია და ღმერთი იესოა. ის თავმდაბალია. ის მოსიყვარულეა. ის წყალობა და დათმენაა. ის ყოვლისშემძლეა, მაგრამ ისეთი თავმდაბალია?! მას ყველა ერთნაირად უყვარს. მას ისევე უყვარს მდიდრები, როგორც ღარიბები. მას ისევე უყვარს ძლიერები, როგორც სუსტები. ამაზე საათობით შემიძლია ვიქადაგო, მაგრამ თქვენ ეს ისევე კარგად იცით, როგორც მე. მოდით, ადამიანებს იესო ქრისტეს დიდებაზე მოვუყვეთ და ეს დიდება გულში ჩავუნერგოთ მათ იმისათვის, რომ იესოს სიყვარული შეძლონ. მაშინ გაჰყვებიან ისინი მას, რამეთუ გააცნობიერებენ მის სიყვარულს და იმას, რომ იგი მათთვის მოკვდა: იესო ქრისტეს ჩემი გადარჩენა სურს; მე მივსდევ მას, ვინაიდან ვუყვარვარ და მინდა, რომ საუკუნოდ მასთან ვიყო; მე მივსდევ მას, ვინაიდან ჩემი მაგალითია იგი - მინდა ისეთი გავხდე, როგორიც ის არის.

ეს არის ჭეშმარიტი მოტივაცია ქრისტეს მიმდევრობისათვის. ძმებო, ჩვენი ამოცანაა, მივიდეთ ყველა ადამიანთან - მიუხედავად მათი პირობების, კულტურისა და სოციალური სტატუსისა. მიდით მათთან, დაამყარეთ კონტაქტი და ცხადად დაანახეთ ღმერთის დიდება. მაშინ ისინი დამოუკიდებლად მიიღებენ იესოს მიმდევრობის გადაწყვეტილებას, ვინაიდან ამას მიხვდებიან: „მთავარია, იესოსთან ვიყო; მინდა ისეთი გავხდე, როგორიც ის არის.“ ჭეშმარიტი მოწაფეები ესენი არიან. მერე კი უნდა მოვნათლოთ ისინი. როგორც სამღვდელო პირებს თქვენ გაქვთ უფლება და მოვალენიც ხართ, მიანიჭოთ წყლით ნათლობა. ამის შემდეგ სულები მოციქულის მიერ სულიერი ნათლობისთვისაც უნდა მოამზადოთ. ეს განსაკუთრებული დავალებაა. საყვარელო ძმებო, ნათელი უნდა გავხადოთ ის, რომ წყლისა და სულისგან ხელახლა დაბადება არა მარტო წინაპირობაა იმისა, რომ ამის შემადგენელი ნაწილნი გავხდეთ, არამედ ისიც უნდა ავუხსნათ მათ, რომ მისი აღსრულების შემდეგ ყველაფერი წესრიგში ჩადგება. უნდა ავუხსნათ ადამიანებს, რომ წყლითა და სულით ნათლობასთან ერთად ისინი განსაკუთრებულ ძალას მიიღებენ. მიიღებენ ძალას, რომელიც უნდა გამოიყენონ. ეს თვითეულ მათგანზეა დამოკიდებული. ამ ძალით შესაძლებელია, მაგ. იესოს სიყვარული, სხვების მიტევება, მიმდევრობა, საკუთარი თავის შეცვლა და იესოს მსგავსად გახდომა. ზოგჯერ მაფიქრებს ის, რომ დარწმუნებული არ ვარ წყლით ნათლობისა და სულიწმიდით აღბეჭდვისათვის მომზადება საკმარისი დამაჯერებლობით მიმდინარეობს თუ არა. უნდა ავუხსნათ ადამიანებს, თუ რამხელა ძალას იღებენ ისინი სულიწმიდით აღბეჭდვისას და რისი გაკეთება შეუძლიათ ამ ძალით. ამის ახსნის საუკეთესო გზა კი ამის პრაქტიკულად ჩვენებაა. ბოლო კვირა დღეს ვახსენე, რომ მაგალითები უნდა ვიყოთ, რათა ძალა, რომელიც სულიწმიდით

აღბეჭდვისას მივიღეთ, გამოვლინდეს. მონათლეთ ისინი და აუხსენით, თუ რას ნიშნავს მონათვლა. აჩვენეთ ადამიანებს, რომ ეს ისტორიის დასასრული კი არა, არამედ დასაწყისია. ისინი მიიღებენ იმ ძალას, რომელიც ქრისტეს არსში ჩასაზრდელად სჭირდებათ. ეს ჩვენი დავალების მნიშვნელოვანი ნაწილია: „ახლა წადით და ... მონათლეთ ისინი ...“

„...ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ.“ მერე კი უნდა წავახალისოთ ისინი, რათა იესოს გაჰყვნენ. მათ უკვე შეიმეცნეს მისი დიდება, მისი სიყვარული, წყალობა და დათმენის უნარი და გადაწყვიტეს სიყვარულით გაჰყვნენ მას, ვინაიდან მისი სიყვარული მათთვის ასეთი დიდია. ახლა კი იესოს მიმდევრობა და მის მსგავსად გახდომა სურთ. ახლა, და სწორედ ახლა, შეგვიძლია ავუხსნათ მათ, თუ როგორ უნდა გაჰყვნენ იესოს. რამოდენიმე წესის დაცვაა საჭირო, ქრისტეს რჯულის. მათთვის ამის ახსნა უკვე პრობლემა აღარ იქნება, ვინაიდან ისინი დასჯის შიშით აღარ იმოქმედებენ. არა, მათ უკვე ეყვარებათ იესო ქრისტე და ჩვენ შევძლებთ, ვუთხრათ: „თუ გინდათ, რომ მისი კეთილმოწყალება დაიმსახუროთ, გააკეთეთ ესა და ეს, მაგრამ ამას შეეშვით.“ და ისინი ამას სიყვარულით გააკეთებენ. რასაც კაცი სიყვარულით აკეთებს, ის პრობლემა აღარ ხდება.

კარგად იცით, რომ ხანდახან, სამწუხაროდ, პირიქით ვიქცევით. ზოგჯერ ადამიანებს, პირველ რიგში, ამას ვეუბნებით: „ნუ იზამ ამას. თუ ასე მოიქცევი, ჯოჯხეთში მოხვდები. მაგრამ თუ ამას გააკეთებ, კურთხეული იქნები.“ თავი უნდა დავანებოთ ამგვარ ქცევას. უპ. ყოვლისა, იესო უნდა უყვარდეთ მათ. და თუ შეიყვარებენ იესოს, მერე შეგვიძლია ვუთხრათ, თუ როგორ უნდა გაჰყვნენ მას. მაშინ მათთვის ეს უკვე პრობლემა აღარ იქნება. მაგრამ მათ ჩვენ უნდა ვასწავლოთ ეს, რამეთუ უფალმა დაგვიბარა ასე. პრინციპში ეს ბევრი არაფერია. მაგრამ არც იოლია, რამეთუ ჩვენთვის დიდი გამოწვევაა. თუმცა ეს არ არის კატალოგი მრავალი წესით.

ჩვენი ამოცანაა, ვასწავლოთ ქრისტეს რჯული და არა საკუთარი მცნებები და წესები ანდა ჩვენი ტრადიციები. უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ჩვენი ქადაგება მხოლოდ სახარებაზე იყოს ორიენტირებული - იმაზე, რაც იესომ და ბიბლიაში მოხსენიებულმა მოციქულებმა თქვეს. ყველაფერი ხსნასთან იყო დაკავშირებული.

ხსნის საჭიროებაზე უნდა ვიყოთ კონცენტრირებულნი და არა სხვა რომელიმე წესზე. თქვენ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ. ყველაფერ ამას არაფერი საერთო არა აქვს ჩვენს სამღვდელმსახურო დავალებასთან. მას არც ხსნასთან აქვს რაიმე საერთო. აქ ვერ ვიტყვით: მე ჩემი სამღვდელმსახურო მოვალეობის საფუძველზე ვიქცევი ასეო. ეს უაზრობა იქნება, ვინაიდან იგი მკაფიოდ არის განსაზღვრული: „ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ“, ამბობს იესო, და არა ის, რაც თქვენ მიგაჩნიათ სწორად. ჩვენ მათ სახარება უნდა ვაუწყოთ. ქრისტეს მიმდევრობა ერთგვაროვნებას არ ნიშნავს. ეს კარგად უნდა გვესმოდეს. როგორც

თავიდან ვთქვი, უნდა გვწამდეს იმისა, რომ სახარება საყოველთაოა, მისთვის არა აქვს მინიშვნელობა პირობებს, წარმოშობას, კულტურულ გარემოს და სოციალურ სტატუსს. ღარიბსაც შეუძლია გაჰყვეს ქრისტეს. მდიდარსაც შეუძლია გაჰყვეს ქრისტეს. მისი მიმდევრობა შეუძლია სნეულსაც და ჯანმრთელსაც. მისი მიმდევრობა შეუძლია აგრეთვე ხანდაზმულსაც და ახალგაზრდასაც. სულერთია რა პირობებში ცხოვრობს კაცი, მას ყოველთვის შეუძლია გაჰყვეს ქრისტეს. და ეს სულ უფრო მეტად უნდა გავაცნობიეროთ. ვერ მოვთხოვთ ადამიანებს, რომ ჩვენნაირები გახდნენ, ვფიქრობთ რა, რომ მხოლოდ ასეთი უნდა იყოს ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევრობა. ჩვენ მათ ის უნდა ვასწავლოთ, რომ ქრისტეს სახარებისამებრ იცხოვრონ და ეს მათ საარსებო პირობებში გააკეთონ. მათი შეცვლა აუცილებელი არ არის. არც იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ გამდიდრდნენ ისინი, რათა ქრისტეს მიმდევრობა შეძლონ. ეს ნამდვილად არ არის ჩვენი ამოცანა. ცხადია, ვისურვებდით, რომ ღრიბებს უკეთ ეცხოვრათ, სნეულები განკურნებულიყვნენ. მაგრამ ეს არ არის იესოს დავალება: „ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ“. ეს აშკარად სულ სხვა რამ არის.

ჩემო საყვარელო ძმებო, ჩვენი ამოცანა მომავლისათვის ასეთია: მიდით ყველა ადამიანთან და წაახალისეთ ისინი, რათა გაჰყვნენ ქრისტეს ისე, რომ არანაირი დაპირებები არ მივცეთ მათ. მოდით, მხოლოდ იესოს დიდება და სიყვარული დავანახოთ ამ ადამიანებს. ამას კი პირადი კონტაქტი სჭირდება. და მერე, თუკი შეიყვარებენ ისინი იესოს, შეგვიძლია წყლით მოვნათლოთ ეს ადამიანები, შემდეგ კი სულიწმიდით აღბეჭდვისთვისაც მოვამზადოთ. ისიც შეგვიძლია ავუხსნათ, თუ რა ძალას მიიღებენ ამის შედეგად და როგორ უნდა გამოიყენონ იგი. ამის მერე ვასწავლოთ, თუ როგორ უნდა გაჰყვნენ ქრისტეს და ავუხსნათ, რომ ამის გაკეთება მათ არსებულ სიტუაციაშიც შეუძლიათ. იმისათვის, რომ ირწმუნონ, მადლობა ღმერთს, სულაც არ არის აუცილებელი, ფრანგები რომ გახდნენ. არ არის აუცილებელი, ჩაიცვან ისე, როგორც მე ვიცვამ, ან ჭამონ ის, რასაც მე ვჭამ. არ არის აუცილებელი, მათაც ის მუსიკა მოსწონდეთ, რომელიც მე მომწონს. მგონი, გესმით, რასაც ვგულისხმობ. თქვენ პატივი უნდა სცეთ ამ ადამიანებს.

ეს ახალგაზრდა თაობასაც ეხება. დაე, თავიანთი ახალგაზრდობით საკუთარ ქვეყანასა და იმ სამყაროთი დატკბნენ, სადაც ცხოვრობენ. არ არის აუცილებელი, ისეთები გახდნენ, როგორებიც ჩვენ ვიყავით ან ვართ. ისინი იმ ახალგაზრდებად უნდა დარჩნენ, როგორებიც არიან. ისინი თავიანთ სამყაროში და ეპოქაში ცხოვრობენ. მაგრამ თავიანთ სამყაროში და თავიანთ ეპოქაშიც შეუძლიათ ქრისტეს გაჰყვნენ. ამაზე უნდა დავფიქრდეთ. ეს არ არის კომფორტული. ვიცი, რასაც ვამბობ. ეს ნამდვილად მოითხოვს რაღაცას ჩვენგან. მაგრამ ეს ღვთის ნებაა. ეს მოციქულობის ამოცანაში შედის, რომელშიც ჩვენც ვართ ჩართულნი. „ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ“. როცა ვქადაგებთ, ამას ვასწავლით. მაგრამ, საყვარელო ძმებო, ზოგჯერ საკუთარი მაგალითითაც შეგვიძლია ვასწავლოთ. ეს არის იმის მიზეზი, თუ რატომ უნდა გადავიტანოთ მწუხარება და დარდი და რატომ უნდა გამოიცადოს ჩვენი რწმენა. დაფიქრდით, ეს არ არის ღვთიური სასჯელი. ეს არ არის იმის ნიშანი, რომ ღმერთს აღარ ვაინტერესებთ, ანდა იმისა, რომ სამუშაო ვერ შევასრულეთ კარგად და ამიტომაც არ გვაკურთხებს იგი. როგორც სხვა ღვთის შვილები და ყველა სხვა ადამიანი ჩვენც განვიცდით დარდსა და მწუხარებას. მაგრამ, როცა დარდსა და მწუხარებას განვიცდით, როცა გამოვიცდებით, როცა ჩვენს ჯვარს ვატარებთ, ღმერთს ცოტა უფრო მეტი სურს ჩვენგან. მას, სურს, რომ მაგალითები ვიყოთ ამ სიტუაციაში და ვიცხოვროთ ისე, როგორც მოგვიწოდა.

როცა თქვენს ცხოვრებაში რაღაც ხდება, სულით ნუ დაეცემით, ნუ განრისხდებით. ჩვენი ამოცანა მაგალითით სწავლებაც არის. მაგრამ თუ ასეთი სურვილი გვექნება: „ზეციურო მამაო, მინდა შევასრულო დავალება, რომელიც შენ მომეცი; ამ განსაკუთრებულ სიტუაციაშიც იმის მაგალითი მინდა ვიყო, რისკენაც შენ მოგვიწოდე“ - მაშინ გეტყვით, ძმებო, რომ იესოს ამ აღთქმის აღსრულებას შეიგრძნობთ: „აჰა, მე თქვენთანა ვარ დღენიადაგ საუკუნის დასასრულამდე.“ სწორედ ამგვარ წუთებში დარწმუნდებით ამაში და ღმერთი განსაკუთრებულად გაკურთხებთ. ამინ.

ძირითადი აზრები

ჩვენ ადამიანებთან იმიტომ მივდივართ, რომ იესოს დიდება ვამცნოთ მათ და ბიძგი მივცეთ, რათა გაჰყვნენ მას. ჩვენ ვასწავლით მათ, თუ რომელი ხსნაა მათთვის უცილობელი, და თან იმის მოთხოვნის გარეშე, რომ ისინიც ისეთები გახდნენ, როგორებიც ჩვენ ვართ.

გავყვეთ იესოს მაგალითს

მთავარი იესოს მსხვერპლისა და მისი სიყვარულის რწმენაა. მხოლოდ ერთი ნაბიჯის გადადგმა გვჭირდება იმისათვის, რომ ვუპასუხოთ მის სიყვარულს და კეთილი საქმეები ვაკეთოთ. პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი რწმენისა და საქმეების დაკავშირების შვიდ მაგალითს ასახელებს.

2017 წლის 20 აგვისტოს პირველმოციქული საურიმოში (ანგოლა) მანგუეირას სტადიონზე მივიდა, სადაც 3200 ერთმორწმუნე და-ძმა იყო შეკრებილი.

პირველმოციქულმა თქვა, რომ ღვთიური წყალობა იესო ქრისტეს სიცოცხლისა და სიკვდილის მეშვეობით გახდა საცნობი. იესო ქრისტე დედამიწაზე იმიტომ მოვიდა და იმიტომ გაიღო საკუთარი სიცოცხლე მსხვერპლად, რომ ადამიანები ბოროტისაგან გაენთავისუფლებინა, ჩამოერეცხა მათთვის მემკვიდრეობითი ცოდვა და მიეტევებინა ცოდვები. „მისი მაგალითი და მისი მოძღვრება გვასწავლის, თუ როგორ ვიცხოვროთ ღვთისათვის მოსაწონად და როგორ მოვემზადოთ ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის“, განაცხადა საერთაშორისო ეკლესიის ხელმძღვანელმა.

იმპულსები ქრისტიანული ცხოვრებისათვის 21-ე საუკუნეში:

1. უარი ვთქვათ ბოროტზე. „როცა იესო ქრისტეს ტანჯვასა და სიკვდილს ვუყურებთ, ბოროტის ნამდვილი არსის ამოცნობა შეგვიძლია. იესო განიცდიდა სიძულვილს, იტანჯებოდა ძალადობითა და უსამართლობით. ხალხი კორუმპირებული იყო, ცრუობდნენ და თვალთმაქცობდნენ.“ „მოდით, ნუ გავხდებით ასეთი ძალის მონები“, თქვა პირველმოციქულმა შნაიდერმა."

2. მოვიქცეთ სახარებისამებრ. „იესო იმიტომ მოკვდა, რომ ცოდვისგან დავეხსენით. რატომ მოიქცა ასე? იმიტომ, რომ ვუყვარვართ! - ჩვენი ცხოვრება მისი სიტყვისამებრ, მისი სახარებისამებრ წარვმართოთ. დავიცვათ მისი სიტყვა; და არა იმიტომ, რომ სასჯელის გვეშინია, არც იმიტომ, რომ რაღაცის დამსახურება გვინდა, არამედ იმიტომ, რომ ქრისტეს სიყვარული შევიცანით და მის სიტყვას ვასრულებთ.“

ფოტო: ანგოლას ახსე

3. გავყვეთ იესოს. „იესოს სურს, რომ მასთან ვიყოთ. და რამეთუ გვიყვარს იგი, მასთან ყოფნაც გვინდა. ყოველთვის მასთან თანაზიარებას ვეძიებთ, ამას კი ღვთისმსახურებაზე ვაკეთებთ - მასთან თანაზიარებას წმიდა ზიარებაში ვეძიებთ - ჩვენი მიზანი მასთან საუკუნო თანაზიარებაა ზეცაში.“

4. გამოვიჩინოთ თავმდაბლობა და მოვინანიოთ. „უფალ იესოს ცოდვისა და სიკვდილის დათრგუნვა შეეძლო, რამეთუ აბსოლუტურად შეუცდომელი იყო. მან აღდგომის სხეული მიიღო და მამასთან დაბრუნდა. ჩვენც გვინდა იქ: ღვთის, მამისა და ძის, სასუფეველში. მაგრამ გვახსოვდეს, რომ შეუცდომელნი ვერ ვიქნებით. მთლიანად წყალობაზე ვართ დამოკიდებულნი. ამიტომაც ვართ თავმდაბალნი ღვთის წინაშე, ვნანობთ ჩადენილს და ვინანიებთ.“

5. მივუტევოთ მოყვასს. „ჩვენ გვჭირდება, რომ დანაშაული მოგვეტევოს. უფალი იესო კი თავმდაბალს თავის წყალობას ანიჭებს. ის მოგვიტევებს დანაშაულს. - როგორ გადავუხადოთ უფალს მადლობა იმ წყალობისათვის, რომელსაც გვანიჭებს? ჩვენც ისევე მივუტევოთ მოყვასს, როგორც ის მოგვიტევებს. მოყვასს ღვთის მიერ ბოძებული წყალობისათვის მადლიერებმა მივუტევოთ.“

6. დავძლიოთ განსაცდელი. „ღვთის ძე ზეცაში იყო და ჩვენი გადარჩენა სურდა. ამიტომაც განკაცდა და ამქვეყნად მოვიდა. მან ყველაფერი განიცადა, რასაც ადამიანები განიცდიან: ისინი უსამართლობით იტანჯებიან, მან ესეც გამოსცადა. ადამიანებს დარდი სტანჯავთ, ისიც დაიტანჯა ამით. ადამიანებს ატყუებენ, მასაც მოატყუეს. ადამიანი კვდება, ისიც, როგორც კაცი, მოკვდა. - გვიყვარს რა იესო, მზად ვართ იმისათვის, რომ მისთვის და მასთან ერთად დავიტანჯოთ. ჩვენ ვიცით, რომ განსაცდელი უნდა გავიაროთ, და ვიღებთ ამას. უარს ვამბობთ რაღაც-რაღაცეებზე, რამეთუ იესო ქრისტეს მიმდევრები ვართ.“

7. ვიყოთ ქრისტეს მოწმენი. „იესო ქრისტე მსხვერპლად ყველა ადამიანისათვის შეეწირა. ჩვენი სურვილია, რომ რაც შეიძლება უფრო მეტმა ადამიანმა ისარგებლოს ამ მსხვერპლითა და გამოსყიდვით. ამიტომაც ვდგებით უფლის სამსახურში. მოდით, მოყვასთან სახარებაზე ვიმოწმოთ. მოდით, ყოფით ცხოვრებაშიც იესო ქრისტეს ჭეშმარიტი მოწმენი ვიყოთ.“

მარჯვნივ: მოციქული მანუელ ქვიფასე მუპილა და მოციქული კაპოტე მარკოზ მისელო იღებენ წმიდა ზიარებას განსვენებულთათვის

ძირითადი აზრები

ტიტე 2, 14:

„რომელმაც თავი დასდო ჩვენთვის, რათა გამოვესყიდეთ ყოველგვარი ურჯულოებისაგან და განეწმიდა თავისთვის რჩეული ხალხი, კეთილი საქმეების მოშურნე.“

იესო ქრისტეს მსხვერპლი და მოძღვრება სტიმულს აძლევს მორწმუნეებს, რომ უარი თქვან ბოროტზე, იცხოვრონ ღვთისათვის მოსაწონი ცხოვრებით და მოემზადონ ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის.

სამხ. მოციქულის ახალი თანაშემწე ავსტრალიაში

სექტემბრის ბოლოს პეტერ შულტე ავსტრალიის სამხ. მოციქულის სამოღვაწეო მხარეში მეორე კაცი გახდა. პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდრემა იგი ჯერ მოციქულად აკურთხა ხელდასხმით, შემდეგ კი სამხ მოციქულის თანაშემწედ დანიშნა ამ უზარმაზარი სამოღვაწეო რეგიონისათვის.

ფოტო: ავსტრალიის ახსე

2017 წლის 24 სექტემბრის ღვთისმსახურებაზე მელბურნში (ავსტრალია) პირველმოციქულმა სამხ. ხუცესი პეტერ შულტე მოციქულად აკურთხა და თან სამხ. მოციქულის თანაშემწედ დანიშნა.

„ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომელსაც ახლა ორივე ერთად ვდგამთ!“ ეს იყო ის პირველი სიტყვები, რომლითაც ეკლესიის მეთაურმა პეტერ შულტეს მიმართა; იგი გარკვეული წლების განმავლობაში სამხ. ხუცესის პასუხისმგებლობას ატარებდა ავსტრალიის აღმოსავლეთში. „მან კარგად იცის, თუ რას განიცდის ადამიანი ასეთ წუთებში“, აღნიშნა პირველმოციქულმა.

14 წლის წინ, როგორც სამხ. ხუცესი, ის თავად იხმეს საკურთხეველთან, რათა ჯერ მოციქულის სასულიერო თანამდებობა მიეღო, ხოლო შემდეგ - დავალება, რომ, როგორც თანაშემწე, მხარში ამოსდგომოდა თავის სამხ. მოციქულს. „მე ამ სიტყვებითაც შემიძლია განუგეშო: ‘ნუ გეშინია, ღმერთი შენთან არის!“ ეკლესიის ხელმძღვანელმა სამხ. მოციქულის ახალი თანაშემწე დაარწმუნა, რომ აუცილებლად შეიგრძნობდა იგი ღვთის ძალასა და ამ დიდი ქვეყნის მრავალი და-ძმის ლოცვებს.

ჯერ შევიყვაროთ, მერე ვუხელმძღვანელოთ

პირველმოციქულმა აღნიშნა, რომ, როგორც მოციქულმა და სამხ. მოციქულის თანაშემწემ, ჯერ ძმები და დები უნდა გაიცნოს მან და სიყვარულით ატაროს ისინი. „უნდა ისწავლო, თუ როგორ უხელმძღვანელო ეკლესიას და როგორ გაუძღვე თემებს მსოფლიოს ამ ნაწილში.“ ეს მისთვის მარტივი იქნება, ვინაიდან მას ხომ სამხ. მოციქული ჰყავს, რომელსაც შეუძლია, მიენდოს და მაგალითი აიღოს მისგან.

რწმენის კაცი

პეტერ შულტე (*1963 წ.) ცხოვრობს სარინაში/ქვინსლანდი. როგორც სამხ. მოციქულის თანაშემწე, იგი ამჟამინდელი სამხ მოციქულის პირდაპირი მემკვიდრეა. „მე დიდად მადლობელი ვარ, რომ ნებისმიერ ცხოვრებისეულ სიტუაციაში ისევ და ისევ შემეძლო დავრწმუნებულიყავი ღმერთის თანხლებაში“, განაცხადა სამხ მოციქულმა ანდრესენმა; „აქაც ასეა - ამ ცვლილებისათვის დიდხანს ვლოცულობდით და იგი ღვთიური კურთხევის ქვეშაა.“ „პეტერ შულტე არის რწმენისა და დიდი ძალის მქონე კაცი“, ასე დაახასიათა თავისი მემკვიდრე სამხ. მოციქულმა. მან აღნიშნა, რომ იგი დიდ რეგიონს უხელმძღვანელებს და ამას იგი მისთვის ჩვეული სიდინჯითა და გონივრულობით გააკეთებს. თავის თავს კი უმტკივნეულოდ წასვლა უსურვა.

დავითი და გოლიათი

(1. მეფ. 17)

ფილისტიმელებმა ჯარი შეაგროვეს
საომრად. საული და ისრაელის
კაცებიც აღიჭურვნენ იარაღით.
ორ მთას შორის, სადაც ორივე
ხალხის მებრძოლები იყვნენ
დაბანაკებულნი, ღელე იყო.

ფილისტიმელთაგან ერთი
ბუმბერაზი კაცი გამოვიდა,
სახელად გოლიათი, რომლის
სიმაღლეც სამ მეტრს აჭარბებდა.
თავზე სპილენძის მუზარადი
ეხურა, მისი ჯაჭვის ჯავშანიც
სპილენძისა იყო, ფეხებზე
სპილენძის საბარკულები ეკეთა და
მხარზე შუბი ჰქონდა გადებული
რკინის წვერით. წინ ფარის
მტვირთველი მიუძღოდა.
გოლიათი ისრაელის ჯარის წინ
გამოვიდა და ორთაბრძოლა
მოითხოვა: „თუ რომელიმე
თქვენთაგანი დამამარცხებს,
მაშინ ფილისტიმელები თქვენი
მსახურები გავხდებით. მაგარამ,
თუ მე გავიმარჯვებ, თქვენ
გახდებით ჩვენი მსახურნი.“
ორმოცი დღის განმავლობაში ასე
დასცინოდა იგი ისრაელიანებს.
მეფე საულსა და მის ხალხს
ეშინოდათ გოლიათის. არავის
სურდა მის წინააღმდეგ გამოსვლა.

დავითის სამი უფროსი ძმაც
ისრაელიანთა ლაშქარში იყვნენ.
მამა კი საკმაოდ მოხუცი იყო, რომ
ეომა. მან დავითი, მისი უმცროსი
ძე, ბანაკში გააგზავნა. დავითს
ძმებისათვის ქუმელი და პური
უნდა მიეტანა, ასისთავისათვის კი
- ყველი.
დავითი ისრაელიანების ბანაკში
მაშინ მივიდა, როცა ჯარი
ირაზმებოდა.
ძმების სანახავად მან ჯარს
მიაშურა. იმ დროს, როცა იგი ძმებს
ელაპარაკებოდა, გოლიათი კვლავ
გამოვიდა ისრაელის ჯარის წინაშე
და ორთაბრძოლა მოითხოვა.
დავითმა იკითხა: „ვინ არის
ეს ფილისტიმელი, ცოცხალი
ღმერთის ჯარს რომ იგდებს
აბუჩად?“ იქ მდგომმა კაცებმა
აუხსნეს საქმის ვითარება და მან
მეფე საულის მიერ დადებული
პირობის შესახებაც გაიგო: ვინც
გოლიათს დაამარცხებდა, ის დიდ
სიმდიდრეს მისცემდა მას და
თავის ასულსაც მიათხოვებდა.
დავითმა თქვა: „მე შევებრძოლები
გოლიათს!“
უფროსი ძმა გაურისხდა დავითს,
რომელმაც წარმოიდგინა, რომ ამ
ბუმბერაზს დაამარცხებდა. მეფე
საულმა დავითს უთხრა: „ვერ
შეებრძოლები ამ ფილისტიმელს,
რადგან შენ ყმაწვილი ხარ, ის კი
გამოცდილი მებრძოლია.“
მაგრამ დავითმა უპასუხა: „როცა

მამაჩემის ცხვრებს ვმწყემსავდი
და ლომი ან დათვი დაეცემოდა
და გაიტაცებდა მათ, ლომსაც და
დათვსაც ვკლავდი და ცხვრებს
პირიდან ვგლეჯდი. ღმერთი
ლომთან და დათვთან ბრძოლაში
მეხმარებოდა. ასევე დამეხმარება
იგი ფილისტიმელის წინააღმდეგ
ბრძოლაშიც, რადგან გოლიათი
აბუჩად იგდებს ცოცხალი ღმერთის
ჯარს.“
მეფემ დაინახა, რომ დავითი
იყო ერთადერთი, რომელმაც
საკმარისი სიმამაცე გამოიჩინა
იმისათვის, რომ გოლიათს
გამკლავებოდა. დავითს მან თავისი
აღჭურვილობა, მუზარადი და
ჯავშანი მისცა. დავითმაც აისხა
საულის აღჭურვილობა, ზემოდან
მახვილი გადაიკიდა და შეეცდა
ასე გაევლო, მაგრამ ამაოდ. მან
ასე სიარული ვერ შეძლო და
ყველაფერი მოიხსნა. აიღო ხელში
კომბალი, გამოარჩია ხუთი რიყის
ქვა და მწყემსის გუდაში ჩაყარა.
აიღო შურდული და გოლიათის
წინააღმდეგ გავიდა.
„ძაღლი ხომ არა ვარ ჯოხით რომ
გამოდიხარ ჩემთან?“ გოლიათმა
დაწყევლა დავითიც და ღმერთიც.
„შენ ხმლით, შუბითა და ფარით
გამოდიხარ ჩემთან, მე კი ღმერთის
სახელით გამოვდივარ, რომელიც
შენ შეურაცხყავი. დაგამარცხებ
და ყველა დაინახავს, რომ ჰყავს
ისრაელს ღმერთი“, შესძახა
დავითმა გოლიათს.
ორივე ერთმანეთისკენ გაეშურა.
დავითმა ხელი ჩაყო გუდაში
და იქიდან ერთი რიყის ქვა
ამოიღო, გაისროლა და გოლიათს
შუბლში მოარტყა. ბუმბერაზი
პირქვე დაემხო. შემდეგ
დავითმა ფილისტიმელის
მახვილი აიღო და თავი
მოჭკვეთა მას. როცა
ფილისტიმელებმა
დაინახეს, რომ მათი
უძლიერესი მორკინალი
მკვდარი დაეცა,
გაიქცნენ.

ჩვ. წ. აღ-მდე 1200 წ. ფილისტიმელები ბალკანეთიდან/საბერძნეთი კუნძულ კრეტას (ხმელთაშუა ზღვა) გავლით ქანაანში მივიდნენ. იქ ისინი სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე დასახლდნენ, დაახ. იმ პერიოდში, როცა ისრაელიანები ქანაანში დამკვიდრდნენ. ფილისტიმელები უპირატესობას ფლობდნენ, რის გამოც ისრაელი დიდი ხნის განმავლობაში იტანჯებოდა; ისინი ბევრად უფრო მეტნი იყვნენ და რკინის დამუშავების საიდუმლოც იცოდნენ. ფილისტიმელები უფრო მაგარ და გამძლე ჯავშნებს, ფარებს, ასევე ძლიერ მჭრელ და მჩხვლეტავ იარაღს ამზადებდნენ, ვიდრე მათი მოწინააღმდეგენი. პალესტინა თავის სახელს სწორედ მათ უნდა უმადლოდეს (ლათ: ფილისტეა).



წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 09/2017 წ., ილუსტრაციები: მიღება ფორტუნატი

ჰუიტეასთან ტაუტირაში (საფრანგეთის პოლინეზია)

„Io Rana“ (გამარჯობათ) ბავშვებო! მე მქვია ჰიუტეა, ვარ ათი წლის და ვცხოვრობ ტაუტირაში, ერთ პატარა სოფელში ტაიტიზე - ტაიტი არის კუნძული წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში.

ხალხის უმრავლესობას გაგონილი აქვს ტაიტის შესახებ, ბევრი ოცნებობს აქ ჩამოსვლაზე. ტაიტი, მართლაც, ძალიან ლამაზია. მთელი წლის განმავლობაში თბილა და აქ კარგად შეიძლება ცხოვრება. ტროპიკული კლიმატის პირობებში უჩვეულო ხილი ხარობს, როგორიც არის, მაგ. რამბუტანი, ლიჩის ნაირსახეობა.

გარდა ამისა, აქ ბევრი ყვავილიც იზრდება; ყველაზე ცნობილია ტიარა, რისგანაც მონოის ამზადებენ. „მონოი“ არის ზეთი, ის თმის მოვლის საშუალება და მზისგან დამცავი ზეთია. ამ ყვავილებს სტუმრებს გადავცემთ ხოლმე მისალმების ნიშნად.

ყვავილები, მართლაც, ყველგან ხარობს. ჩვენი ეკლესიის საკურთხევლის მოსართავად არასოდეს ვყიდულობთ ყვავილებს, უბრალოდ უნდა მოვკრიფოთ ისინი.

ეკლესიაში ბევრი ბავშვი გვყავს. მე მიყვარს ეკლესიაში სიარული და ხშირად ვუვლი ხოლმე პატარა ბავშვებს.



წელიწადში რამოდენიმეჯერ მღვდელმსახურები ჩამოდიან ჩვენთან საფრანგეთიდან ან ახალი კალედონიიდან, რომელიც ტაიტის აღმოსავლეთით 500 კმ-ის მოშორებით მდებარეობს. მღვდელმსახური შაბათ დილას გამოდის იქიდან და პარასკევ საღამოს არის ჩვენთან. ის, შეიძლება ითქვას, უკან დროში მოგზაურობს, ვინაიდან დროის საზღვრების გადაკვეთა უწევს, რომელიც ახალ კალედონიასა და ტაიტის შორის არის. ასე შეიძლება ორჯერ გადაიხადოს კაცმა დაბადების დღე!

ჩემი ოჯახი შედგება ჩემი მშობლებისგან, ჩემი ორი ძმისგან, ჰუიტუასა და ჰუიმანასგან (აქ, სურათზე, ჩვენი სამხ. მახარებლის მეუღლის მარი-როზეს გვერდით) და ჩემგან.

აქ ვართ დედა, მე, ერთ-ერთ ბავშვთან ერთად ეკლესიიდან, და დეიდაჩემი.

ის, რაც ბევრმა არ იცის, ვინც ჯერ კიდევ არ ყოფილა ტაიტიზე: ჩვენი სანაპიროები, თითქმის ყველა, შავი ქვიშისგან შედგება და არა თეთრისგან. ეს იმიტომ, რომ ჩვენი კუნძული ვულკანური წარმოშობისაა და კლდეების ეროზია შავ ქვიშას წარმოშობს. მაგრამ ფეხები იგივეს გრძნობს, რასაც თეთრ ქვიშაში, არ შეგეშინდეთ!

ჩვენ, ტაიტელებს, გვიყვარს ცურვა, მაგრამ ასევე სერფინგი, ვინაიდან წყნარ ოკეანეში ხშირად დიდი ტალღები იცის.

კანოეთი ცურვა ჩვენი ნაციონალური სპორტია. და აქ იმდენი თევზია - ცაში ღრუბლებზე მეტიც კი ...

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 09/2017 წ., ფოტოები: ბორდი, Fotolia.com – rakop_ton – msk.nina – panuruangjan – serge simo – kaiskynet



ფოტო: animaflora – Fotolia.com

განსვენებულთა არსი – ცენტრალური საკითხები

საიქიოში შეცვლისადმი რწმენა და ხსნის უნივერსალური ღვთიური ნებისადმი რწმენა - ეს არის ახალსამოციქულო ეკლესიის განსვენებულთა არსის მოძღვრების ორ მთავარ კითხვაზე პასუხი. ორ მთავარ კითხვაზე პასუხი.

ჩვენი თანამედროვე პრაქტიკა ბიბლიურ ტექსტს ემყარება (იხილე კომიუნიტი 04/2017 წ.), მაგრამ მისი ლეგიტიმაცია მოციქულობის ავტორიტეტითაც ხდება, რომლის ამოცანაც იმაში მდგომარეობს, რომ სათანადოდ და დროის შესაბამისად განმარტოს, განავითაროს და იქადაგოს სახარება.

განსვენებულთა მიმართ საკრამენტალური მიმართვა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აგვერიოს სპირიტიზმში. საბოლოო ჯამში, სპირიტიზმი საიქიოს ამქვეყნის ნაწილად მოიაზრებს, რომლის გამოკვლევაც ისევე შეიძლება, როგორც უცნობი კონტინენტისა.

ახალი აღთქმა და მასზე დაფუძნებული ახალსამოციქულო რწმენა საკმაოდ თავშეკავებულად გამოთქვამს მოსაზრებებს განსვენებულთა სამყაროსთან მიმართებაში. კერძოდ, ლაპარაკი იმაზე არ არის, რომ იმქვეყნიურ სამყაროში ჩავიხედოთ ან შევისწავლოთ იგი, არც იმქვეყნიური სამყაროების ცოდნაზე, არც მკვდართა მდგომარეობაზე და ა.შ. საიქიო არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაერთოს სააქაოში და ამქვეყნიურ კონტროლს დაექვემდებაროს. ადამიანის არანაირი ცნობისმოყვარეობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, არამედ ხდება ხსნის აღთქმა, რომელიც ცოცხლებსაც და მკვდრებასაც ერთნაირად ეხება.

ამ ადგილას ორი კითხვა უნდა დაისვას. პირველი: რა მდგომარეობაში იმყოფებიან მკვდრები? და მეორე: რაში სჭირდებათ მათ საიდუმლოები?

რა მდგომარეობაში იმყოფებიან მკვდრები?

პირველ კითხვაზე პასუხის გაცემას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, თუ მკვდარი ადამიანის ცოცხალ ადამიანთან ერთობას გავუსვამთ ხაზს. მართალია, ადამიანის არსებობის ისტორია სიკვდილით მთავრდება, მაგრამ იგი გარდაცვლილის შემადგენელ ნაწილად რჩება, რაც ყოველივე იმას ნიშნავს, რაც უფიქრია, განუცდია ან გაუკეთებია მას, წარმატებაც და წარუმატებლობაც ამაში შედის. მაშასადამე, ადამიანის პიროვნულობა სიკდილშიც შენარჩუნებულია. განსვენებული არ იცვლება და ღმერთი კვლავაც მიმართავს მას.

სულთა მდგომარეობა იმქვეყნიურ სამყაროში, როგორც ღმერთთან სიახლოვისა თუ სიშორის გამოხატულება, მრავალნაირია. ყოველ შემთხვევაში სიკვდილით მათ ცვლილება არ განუცდიათ. იმ განსვენებულებს, რომლებიც ღვთისგან შორს იმყოფებიან, განსაკუთრებული დახმარება სჭირდებათ, შუამდგომლობითი ლოცვები. ახალსამოციქულო მრწამსის მიხედვით საიდუმლოთა მინიჭებას განსვენებული

არსებული მდგომარეობის შეცვლამდე მიჰყავს. ამ დროს, რა თქმა უნდა, არავინ ფიქრობს იმაზე, რომ განსვენებულები, რომლებიც არ ყოფილან ახალსამოციქულო მორწმუნენი, ხელახლა მოინათლონ ანდა ის განსვენებულები, რომლებიც სულიწმიდით აღიბეჭდებიან, ახალსამოციქულო რწმენას მიიღებენ.

ახალსამოციქულო რწმენა უარყოფს ბევრი ქრისტიანის მტკიცე რწმენას იმის თაობაზე, რომ ადამიანი ვეღარ შეიცვლის მის ცხოვრებაში დაკავებულ მდგომარეობას ღმერთის მიმართ და, რომ შეცვლა უკვე შეუძლებელია, ვინაიდან სიკვდილით ადამიანისათვის ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია. ამ პოზიციის გათვალისწინებით, ჯოჯოხეთში საუკუნო დასჯისა და საუკუნო წყევლის იდეა უსაგნოა. ნებიმიერი პოზიტიური ცვლილების საფუძველს - აქაც და იქაც - ღვთისადმი მიმართვა წარმოადგენს, ე. ი., რწმენა. ამით გარდაცვლილები არ თავისუფლდებიან რწმენის საჭიროებისგან. რწმენის საფუძველი და საყრდენი, რომელსაც შედეგად ღმერთთან ახალი ურთიერთობა მოსდევს, საიდუმლოებია, მაშასადამე, ნათლობა, სულიწმიდით აღბეჭდვა და წმიდა ზიარება.

რატომ არიან გარდაცვლილები საიდუმლობზე დამოკიდებულნი?

ახალსამოციქულო რწმენის მიხედვით ქრისტიანულად ცხოვრება საიდუმლოებს ეფუძნება და მისით მყარდება. ამდენად, წყლით ნათლობა აუცილებელია როგორც ღმერთის თანხმობა ადამიანის მიმართ. მაშასადამე, ვისაც ხსნის მიღება სურს, ვისი რწმენაც უნდა გაძლიერდეს და შენარჩუნდეს, ის საიდუმლოების მიღებაზეა დამოკიდებული; ახალსამოციქულო რწმენის გაგებით ეს ერთნაირად ეხება ცოცხლებსაც და მკვდრებსაც.

ამასთან დაკავშირებით ახალსამოციქულო კატეხიზმო (პარაგრაფი 9.6.3), უსვამს რა მოციქულობის მნიშვნელობას ხაზს, შემდეგ ასპექტებს აყალიბებს: „იესოს დავალებას, იუწყონ სახარება, მიუტევონ ცოდვები და მიანიჭონ საიდუმლოები, მოციქულები ასრულებენ როგორც ცოცხლებზე, ასევე მკვდრებზე. ისინი ქრისტეს მაგიერ და მისი სახელით მოქმედებენ. როგორც იესო ქრისტემ გაიღო მსხვერპლი დედამიწაზე, ასევე ხდება ხსნის გადაცემა მოციქულთა მიერ ამქვეყნად. ვინაიდან საიდუმლოებს ყოველთვის თან ახლავს ხილული მხარე, მათი განხორციელებაც მხოლოდ ხილულ სფეროშია შესაძლებელი. საიდუმლოთა ზემოქმედება, როგორც ხსნის გადაცემის არსებითი ელემენტისა, ცოცხლებისთვისაც და მკვდრებისთვისაც ერთნაირია“.

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, CH-8051 ციურიხი/ შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი/ გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

სხვაობა განსვენებულთა არსსა და სპირიტიზმს შორის

შელოცვების ნაცვლად შუამდგომლობითი ლოცვები, ადამიანური ცნობისმოყვარეობის ნაცვლად ღვთიური ქმედებანი: ახალსამოციქულო ეკლესიის განსვენებულთა არსს სპირიტიზმთან საერთო არაფერი აქვს.

ზოგჯერ ახალსამოციქოლო ეკლესიას საყვედურობენ, რომ განსვენებულთა არსს თითქოს გარკვეული მსგავსება ჰქონდეს სპირიტუალურ პრაქტიკასთან ანდა სულაც სპირიტუალური წარმოდგენების სპექტრს განეკუთვნებოდეს. ქვემოთ მკაფიოდ უნდა იქნას ახსნილი, რომ განსვენებულთა არსის დაკავშირება სპირიტიზმთან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

რა არის სპირიტიზმი?

პირველ რიგში, აუცილებელია გავარკვიოთ, თუ რა არის საერთოდ სპირიტიზმი. სპირიტიზმის საფუძველი იმქვეყნიური სამყაროს რეალური არსებობაა, სადაც გარდაცვლილთა სულები იმყოფებიან. ეს ძირითადი მოსაზრება არა მარტო სპირიტიზმში, არამედ წარსულისა და აწმყოს ბევრ რელიგიაშიც გვხვდება. ახალსამოციქულოეკლესიაც საიქიოს ეფუძნება, სადაც გარდაცვლილთა სულები იმყოფებიან. თუმცა სპირიტიზმში ეს ძირითადი მოსაზრება იმგვარად განვითარდა, რომ არა მხოლოდ სულების არსებობას ამტკიცებენ, არამედ მაგ., მათთან მედიის საშუალებით კონტაქტის დამყარების შესაძლებლობასაც.

ბიბლიური მაგალითები

მკვდართა გამოკითხვა, რომელიც სპირიტიზმის არსებითი ნაწილია, ჯერ კიდევ ძველ აღთქმაშია ნახსენები, ვინაიდან ისრაელის წარმართულ სამყაროში სპირიტიზმი რელიგიური პრაქტიკის შემადგენელი ნაწილი იყო. აქედან გამომდინარე, ძველ აღთქმაში კატეგორიულად არის უარყოფილი

მკვდართა გამოკითხვა - მისნობის, ასტროლოგიისა და ა.შ ჩათვლით-, როგორც კერპთაყვანისმცემლობის ფორმებისა. მაგ., მოსეს მეხუთე წიგნში (18, 9-12) ნათქვამია: „როცა მიხვალ იმ ქვეყანაში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს, არ ისწავლო იმ ხალხთა მსგავსად ძეგლთა კეთება. არ იპოვებოდეს შენში თავისი ძისა და თავისი ასულის ცეცხლში გამტარებელი, არც ჯადოქარი, არც მისანი, არც მარჩიელი, არც გრძნეული, და არც შემლოცველი და არც მესულთანე, არც მკითხავი და არც მკვდართა გამომკითხველი, ვინაიდან საძაგელია უფლისათვის ყოველივე ამის მოქმედი, და ამ სისაძაგლეთა გამო უფალი, შენი ღმერთი, სდევნის მათ შენი პირისაგან.“

ბიბლიაში მოთხრობილია ყენდორელი მესულთანე დედაკაცის შესახებ, რომელმაც საულის თხოვნით წინასწარმეტყველ სამუელის სული გამოიხმო (1. მეფ. 28, 7-20). ამ ძველიაღთქმისეულ ისტორიას ხშირად იმის მტკიცებულებად იყენებენ, რომ, მართალია, მკვდართა გამოცხადება აკრძალული იყო, მაგრამ შესაძლებელი და ადამიანებს შეეძლოთ მათი გამოძახება. თუმცა ეს ბიბლიური ისტორია მკვდართა გამოკითხვის შესაძლებლობის დამტკიცებას კი არ ემსახურება, არამედ მან ნათლად უნდა დაგვანახოს, თუ რამდენად შორს იყო საული ღვთისგან. ბოლოს წინასწარმეტყველი მხოლოდ იმიტომ გამოცხადდა, რომ მეფისათვის საყვედური ეთქვა.

თანამედროვე სპირიტიზმი

დროთა განმავლობაში, განსაკუთრებით 17-ე საუკუნის ბოლოდან, ე. ი., განმანათლებლობის ეპოქიდან მოყოლებული, სულებთან ან მკვდრებთან კონტაქტში შესვლაზე წარმოდგენები ცრურწმენად ითვლებოდა. მხოლოდ 19-ე საუკუნეში, როცა განმანათლებლობისათვის დამახასიათებელი რაციონალიზმის მიმდევრობა ნებისმიერი კუთხით აღარავის სურდა, ამ კონკრეტულ პრაქტიკასთან დაბრუნება მოხდა.

თანამედროვე სპირიტიზმი 19-ე საუკუნეში წარმოიშვა. იმ დროს, როდესაც ადრე სულთა და გარდაცვლილთა შელოცვა ხშირად რომელიმე რელიგიურ პრაქტიკას განეკუთვნებოდა,

თანამედროვე სპირიტიზმისათვის აუცილებელი არ არის, რომ იგი მაინც და მაინც რომელიმე რელიგიასთან იყოს კავშირში. შეიძლება ითქვას, რომ სულებთან და გარდაცვლილთა სულებთან კონტაქტის დამყარებას სისტემატურად და მეცნიერული გზით ცდილობენ და არა მხოლოდ იმისათვის, რომ სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის გაგრძელება დაამტკიცონ, არამედ ასევე საიქიოს არსებობაც, რომლის შესახებაც უფრო დეტალური ინფორმაციის მოპოვებას ცდილობენ. მაგ., გარდაცვლილებს ეკითხებიან, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებიან ისინი და როგორ არის მოწყობილი საიქიო.

სირიტიზმის მიზანი უკვდავი სულისა და საიქიოს არსებობის დამტკიცებაა, გარდაცვლილთა გამოკითხვის გზითაც. საიქიო და გარდაცვლილთა სულები სპირიტიზმში კვლევის ობიექტი გახდა. ისინი არა ერთხელ გამხდარან ადამიანური ცნობისმოყვარეობის საგანი. ამდენად, დაპირისპირება ამქვეყანასა და იმქვეყანას, ტრანსცენდენტობასა და იმანენტობას შორის სერიოზულად აღარ აღიქმება. უფრო მერტიც, საიქიო ვლინდება როგორც სააქაოს ერთგვარი უხილავი სამყარო, სადაც იგივე კანონზომიერებანი მოქმედებს, როგორც მატერიალურ სამყაროში.

ხშირად სპირიტიზმი საკუთარ თავს ქრისტიანობის ალტერნატივად მოიაზრებს, რომელიც, როგორც ამტკიცებენ, დოგმებით არის შეპყრობილი და საკმარისად არ უღრმავდება საიქიოს.

აქვს თუ არა რაიმე საერთო განსვენებულთა არსს სპირიტიზმთან

მაშ, როგორ უნდა შევაფასოთ საყვედური იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს განსვენებულთა არსი სპირიტიზმის ერთგვარი ფორმაა ანდა, სულ მცირე, მასთან ახლო ნათესაობაზე მიუთითებს? იმ დროს, როდესაც სპირიტისტი ინფორმაციის მისაღებად სულებს იძახებს, განსვენებულთა არსში განსვენებულებთან კონტაქტის დამყარების არანაირი მცდელობა არ არის იმ მიზნით, რომ სულებზე ან საიქიოზე რაიმე ცნობების მოპოვება მოხდეს. მაშასადამე, განსვენებულები აქ არც ადამიანური ცნობისმოყვარეობის ობიექტს და არც მეცნიერული კვლევის დაუძლეველ წყურვილს არ წარმოადგენენ. საიქიოს არც უხილავ სააქაოდ მიიჩნევენ, რომლის მეცნიერული გამოკვლევაც შესაძლებელია, არამედ თავის სხვაგვარობასა და მიუწვდომლობაში ტოვებენ მას.

განსვენებულთა არსის შემთხვევაში მხოლოდ იმაზეა ლაპარაკი, რომ გარდაცვლილისათვის საიდუმლოები, რომლებიც ხსნისათვის არის აუცილებელი, მისაწვდომი გახდეს. ამ შემთხვევაში ადამიანები კი არ მოქმედებენ საკუთარი ინიციატივითა და იმქვეყნიური სამყაროს მიმართ განსაკუთრებული ინტერესით, არამედ თავად ღმერთი ემსახურება მათ, ე. ი. მოციქული, რათა გარდაცვლილთა სულებისათვის საიდუმლოები გახდეს მისაწვდომი. ის, თუ განსვენებულთაგან ვინ იღებს საიდუმლოებს, ანუ ვინ ხდება ხსნის მონაწილე და ვინ არა, დაფარული რჩება.

განსვენებულთა არსი სხვას არაფერს ხდის ნათელს, თუ არა საყოველთაო ხსნის ღვთიურ ნებას, რომელიც ცოცხლებსა და მკვდრებს ერთნაირად მოიცავს. განსვენებულთა არსში არანაირი მნიშვნელობა არა აქვს განსვენებულებთან კონტაქტს, აქ უფრო შუამდგომლობითი ლოცვები წარმოითქმის, სადაც ღმერთს სთხოვენ, რომ მოწყალედ მოჰხედოს დაუხსნელ სულებს. ამგვარი ლოცვებითა და თანამოძმის მიმართ სიყვარულით აღსავსე სათანადო ქცევით დავანახებთ ღმერთს, რომ არა მხოლოდ ჩვენს ხსნაზე ანდა ცოცხლების ხსნაზე ვზრუნავთ, არამედ ასევე გარდაცვლილთა ხსნაზეც. ამით იმის ღრმა რწმენა გამოიხატება, რომ მკვდრები და ცოცხლები ხსნის მოწადინეთა დიდ ერთობას წარმოადგენენ და, რომ ქრისტეს ეკლესია თავად არის ცოცხალთა და მკვდართა ერთობა.

ფოტო:

პროგრამა

07.01.2018 წ.	ბანჯული (გამბია)
14.01.2018 წ.	კიოლნი (გერმანია)
19.01.2018 წ.	ლაჰორი (პაკისტანი)
21.01.2018 წ.	კარაჩი (პაკისტანი)
11.02.2018 წ.	ლანდკვარტი (შვეიცარია)
18.02.2018 წ.	კეიპტაუნი (სამხრ. აფრიკა)
25.02.2018 წ.	დიბურგი (გერმანია)
28.02.2018 წ.	იაუნდე (კამერუნი)
02.03.2018 წ.	ბატა (ეკვატორული გვინეა)
04.03.2018 წ.	ლიბერვილე (გაბუნი)
18.03.2018 წ.	ბუენოს-აირესი (არგენტინა)
19.03.2018 წ.	როსარიო (არგენტინა)
24.03.2018 წ.	ოკნა მურეში (რუმინეთი)
25.03.2018 წ.	ბაია მარე (რუმინეთი)
30.03.2018 წ.	გოტბუსი (გერმანია)

New Apostolic Church
International